პროფ. დოქ. ჰილმი ქარლი

სიცოცხლის უფლება

რსს
გამომცემლობა

პროფ. დოქ. ბალდა ჯოხლა

სიკეთეხლის უფლება

DİYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2
2020-06-Y-0003-1766
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა
Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti
Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

“შუამავალი თავის მეგობრებთან საუბრობდა. ერთის მხრივ გულწრფელი და უბრალო ენით საუბარი, ხოლო მეორეს მხრივ გულანთებული და მოკრძალებული ათობით ადამიანი. ამ საუბრების ფასი და მნიშვნელობა აუწონელია. ასეთი საუბრების დროს შუამავალი ეპოქის მიღმა მიდიოდა და ისეთ მაგალითებს ყვებოდა, რომლებიც პირველ ადამიანამდე აღწევდა. შუამავალი ისტორიის ფურცლებს შლიდა და წარსულში მცხოვრები ხალხის შესახებ საინტერესო იგავებს ყვებოდა. ამის შედეგად მსმენელები მაგალითებს იღებდნენ. ამჯერადაც საუკუნეების წინ მომხდარ ამბავს ყვებოდა. თემა ადამიანის სიცოცხლის უფლება, მისდამი პატივისცემასა და შემწყნარებლობას შეეხებოდა.

ძველ დროში ერთ-ერთი შუამავალი, რომელიც შორ გზაზე მიდიოდა, დაიღალა და დასასვენებლად ერთი ხის ძირას ჩამოჯდა. ხესთან და მიწასთან ახლოს ყოფნა მიწაზე მცხოვრებ არსებებთან სიახლოვეს ნიშნავს, ამიტომ დიდი ხანი არ გასულა, რომ ხის ძირას ჩამომჯდარ შუამავალს ჭიანჭლევამ უკბინა.

შუამავალს ძალიან ეტკინა და გაბრაზდა. სიბრაზე გონების წართმევას

იწვევს. ბრაზის გამო ფეხზე ვინც წა-
მოხტება დაზიანებული ჯდება. ამ
შემთხვევაშიც ასე მოხდა. ეს პაწაწინა
არსებაც სულიერი იყო და ჩვენსავით
სიცოცხლის მფლობელი. ამ პატარა
არსებას ოჯახიც კი ჰყავდა. ეს დაა-
ვიწყდა შუამავალს. მან კარგად იცო-
და, რომ დედამიწაზე არსებული ყველა
არსება ჩვენზეა მობარებული, მაგრამ
ადამიანი იყო და დაავიწყდა. ძალიან
გაბრაზებული იყო, ამიტომ ბრძანა ჭი-
ანჭველების ბუდე დაეწვათ.

მხლებლებმა მისი ეს ბრძანება მა-
შინვე შეასრულეს და ჭიანჭველების
ბუდეს ცეცხლი წაუკიდეს. მიწაში
მცხოვრები პაწაწინა არსებები დაიწვ-
ნენ და დაიღუპნენ.

შუამავალმა გააგრძელა მოყოლა და
ბრძანა, რომ სამყაროს გამჩენი ამ ფაქ-
ტის გამო კმაყოფილი არ იყო. მან ჭი-
ანჭველების ბუდის დაწვის ბრძანების
გამცემ შუამავალს გზავნილი მოუვ-
ლინა და მკაცრად გააფრთხილა: „შენ
ჭიანჭველამ გიკბინა და ამის გამო
ღვთის მადიდებელი „უმმაჰ“-დან ერთ-
ერთი „უმმაჰი“ გაანადგურე!“.

კაცობრიობის ისტორია სავსეა ომებით. ამ მხრივ, სამწუხაროდ, არც მუსლიმი ხალხი იყო გამონაკლისი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის ძირითადი მიზანი დედამიწაზე მშვიდობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებაა, ამიტომ იმ ქვეყნებში სადაც ისლამური ცივილიზაცია შევიდა, შედარებით მშვიდობა და სიწყნარე იყო. ისლამმა შექმნა თანაცხოვრების მოდელი, რომლის მიხედვითაც განსხვავებული ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების ადამიანები ერთად თანაცხოვრებას იოლად ახერხებდნენ.

გასულ საუკუნეში მუსლიმმა ხალხმა ბევრი იბრძოლა, რათა საკუთარი მიწები მტრებისგან დაეცვათ. ამ ბრძოლებში ბევრი სისხლი დაიღვარა და მილიონობით ადამიანი დაიღუპა. კარგი, რა ხდება დღეს და რა მდგომარეობაში ვართ?

სამწუხაროდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სიმშვიდე ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა. ეს ძალი-

ან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იქ ისევ და ისევ სისხლი და ცრემლი იღვრება. უფრო მეტიც, დღეს ეს ტერიტორიები მშოფლიოში პირველ ადგილზეა იმ თვალსაზრისით, რომ აქ ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება. როდესაც გუშინ მომხვდურის წინააღმდეგ იბრძოდნენ, დღეს შიდა ომებია გაჩაღებული და მუსლიმები მუსლიმების სისხლს ღვრიან.

ერთის მხრივ რელიგიას ამოფარებული სხვადასხვა დაჯგუფებები, მეორეს მხრივ კი ფაშისტური იდეების მატარებელი ჯგუფები და მათ მიერ პროვოცირებულ თუ უშუალო მონაწილეობით შექმნილ კონფლიქტებში უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან. გარდა ამისა, ერთის მხრივ ულმობელი სახელმწიფოები, რომლებიც იქ მცხოვრები ადამიანების უფლებებს არად დაგიდევენ და არც ქიმიური იარაღის გამოყენებას ერიდებიან, არც დაბომბვას, მეორეს მხრივ კი ლეგიტიმური მთავრობის ჩამოგდების მცდელობა და რევოლუციური მოძრაობები.

დიახ. სამწუხაროდ ეს ყველაფერი დღეს მიმდინარე მწარე რეალობაა. ამ მიწებზე საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული რელიგიური კუთვნილებისა და ეთნიკური წარმოშობის ადამიანები მშვიდობიანად ახერხებდნენ ცხოვრებას, დღეს კი აქაურობა სისხლისღვრის ადგილია. აქ ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა სრულიად შეუძლებელია და დაბომბვების შედეგად უდანაშაულო ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად იღუპებიან.

უდანაშაულო ადამიანის მოკვლა დიდი ცოდვაა და ისლამი ასეთ ქმედებას კატეგორიულად კრძალავს. ადამიანის განზრახ მკვლელობა მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ითვლება. შესაბამისად, ჩვენი სარწმუნოების მიხედვით, მკვლელობა დიდი ცოდვაა. ყურანის მიხედვით მკვლელის სასჯელი სამუდამო ჯოჯოხეთია.

„და ვინც მორწმუნეს მოკლავს განზრახ, ჯოჯოხეთია მისი საზღაური, სადაც დარჩება მუდმივად. განურისხდა მას ალლაჰი და დაწყევლა იგი და გაუმზადა მას სასჯელი საშინელი!“ (ნისა 93)

სამწუხაროდ მკვლელობის შესახებ ამგვარი დამოკიდებულება შეიცვალა და დღეს უბრალო ქმედებად მიიჩნევა. ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობის ხარისხი და ამ საკითხისადმი რელიგიური მგრძნობელობა შესუსტებულია. წარმოიდგინეთ, რომ ერთი ტერორისტული აქტის შედეგად ათობით ან ასობით ადამიანი იღუპება და თითქოს არაფერიო, ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამქვეყნიური მისწრაფებების ძიებაში მყოფი ადამიანები არად დაგიდევენ არც ახალგაზრდასა და მოხუცს, არც ქალსა და ბავშვს, არც დამნაშავესა და უდანაშაულოს და ყველას კლავენ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამგვარი მოვლენის შემდეგ რამოდენიმე დღეში ყველაფერი წყნარდება და ყველას ყველა ავიწყდება.

თუ ამ მტვერს გადავიწმინდავთ, რომელიც გვაყრია, დავინახავთ, რომ ისლამური სამყარო ომის, ნგრევის, განადგურებისა და არეულობის პერიოდს გადის. ეს ყველაფერი ჩვენ ყოველდღე გვესმის ტელეეკრანებიდან და მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებებიდან.

ვინც არ უნდა
იყოს,
უდანაშაულო
ადამიანის
მოკვლა
არამია,
რადგან
ადამიანი,
ზოგადი
თვალსაზრისით,
ძვირფასი
არსებაა.
მას გააჩნია
ღირსება და
მისი
სიცოცხლე
ყველა
წმინდა
წიგნითაა
დაცული.

ამ საქმის ყველაზე სამწუხარო მხარე ის არის, რომ მკვლელიც და მსხვერპლიც მუსლიმები არიან. უფრო მეტიც, ისლამის კალთას ამოფარებულ მკვლელებს სჯერათ, რომ ეს ჯიჰადია. არადა მუსლიმების დაწიოკება და მათ გულებში შიშის დათესვა ჯიჰადი ვერ იქნება. ის შეიძლება არეულობისკენ მიმართული ქმედება იყოს. ამგვარი მკვლელობის გამართლება არცერთი მიზეზით არ შეიძლება. ყურანში ნაბრძანებია:

„ვინც იშუამდგომლებს კეთილად, მას წილი ექნება მისგან ,და ვინც იშუამდგომლებს ბოროტად, მას წილი ექნება მისგან . უეჭველად, ალლაჰს ძალუძს ყველაფერი !“ (ნისა 85)

ამგვარი შეიარაღებული ფორმირებების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ისინი უდანაშაულო ადმიანებს კლავენ და ისლამის უნივერსალურ გზავნილს ჩრდილს აყენებენ. ვითომ ისლამის სახელით მოქმედი ეს დაჯგუფებები ღვთის რისხვას ვერ გადაურჩებიან. მათ სჯერათ რომ კამიკაძეები შაჰიდები არიან. შაჰიდობა კი არა, ისლამის სახელით ჩადენილი ასე-

თი სისასტიკისათვის ღვთის რისხვას დაიმსახურებენ.

მრავალ ადამიანს გონია, რომ ღვთის სახელით იბრძვის. მათ აშკარად გონება აქვთ დაბინდული და სადად აზროვნების უნარი წაერთვათ. ისინი ეშმაკის ჯარისკაცები არიან და ამას ვერ ხდებიან. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ „სიკეთისკენ ლტოლვის“ მცდელობაში ბოროტებისკენ ილტვიან. სამოთხისკენ მივდივართო, ჰგონიათ და ჯოჯოხეთისკენ მიდიან.

ისლამამდელ პერიოდშიც წმინდა წიგნის ხალხი იგივე მდგომარეობაში იყო. მათ დაივიწყეს ღვთიური შეგონებები და ერთმანეთში მტრობას, შუღლს და ქიშპობას იყვნენ გადაყოლილნი. მიუხედავად მრავალი „ზეციური გაფრთხილებისა“, იუდეველები ისევ განაგრძობდნენ თავაშვებულ ქმედებებს და მრავალი ბოროტება ჩაიდინეს. ყურანში ნაბრძანებია:

„როცა ავიღეთ ჩვენ აღთქმა თქვენგან, რომ არ დაღვრიდით ერთმანეთის სისხლს და არ გამოაძევებდით ერთმანეთს საკუთარი სახლებიდან. მერე თქვენ დაადასტურეთ და მოწ-

მენიც იყავით ამის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხართ ისინი, ვინც ერთმანეთს ხოცავდა. ნაწილს თქვენიანებისას საკუთარი სახლებიდან აძევებდით და მათ წინააღმდეგ ცოდვით და მტრობით ერთმანეთს მხარს უბამდით. და თუ ტყვეებად ჩაგივარდებოდნენ (განდევნილნი), გამოსასყიდს იღებდით მათგან, განდევნა მათი ისედაც გეკრძალებოდათ. ნუთუ წიგნის ერთ ნაწილს ირწმუნებთ, მეორე ნაწილს კი უარყოფთ? თქვენგან ვინც იქმს ამას, საზღაური ამისა არ იქნება სხვა, თუ არა დამცირება ამ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს მიეგებათ მწარე სასჯელი. ალლაჰი უგულისყურო არ არის, იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!“ (ბაყარა 84-85)

ყურანი მრავალგზის გვაფრთხილებს და ამის გაუთვალისწინებლობა ღვთიურ სასჯელს გამოიწვევს. სამწუხაროდ უმეცრების ხანის ისტორია მეორდება. ეშმაკი იგივე ხრიკს იყენებს. ამქვეყნიური მისწრაფებები, აღზევების სურვილი და განდიდების მანია ადამიანთა გულებს ისევ იპყრობს. ადამიანთა გულები გაქვავებულია თითქოს. ისლამური საზოგადოება სიმშვიდისა და შემწყნარებლობის მაგალითი უნდა

იყოს, მაგრამ სამწუხაროდ დღეს ისლამური სამყარო ურთიერთდაპირისპირებისა და ქიშპობის ბუდედ არის ქცეული.

შეიძლება სახელები სხვა და სხვა აქვთ, მაგრამ ტერორისტული დაჯგუფებების გზავნილები იდენტურია. ისინი თითქოს მშვიდობისათვის, დაჩაგრული ხალხის გადარჩენისთვის იბრძვიან. ეს ფაქტი კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად უდიდესი პარადოქსი იყო. ადამიანი ყოველთვის პოულობდა რაიმე მიზეზს, რითიც ცდილობდა თავისი სისასტიკე ან ცუდი საქციელი გაემართლებინა. ადამიანი ყოველთვის ცდილობდა ცხვრის ტყავში გახვეული უდანაშაულოდ წარმოჩენილიყო და ფორმალურად, ვითომ ჭეშმარიტების მომხრედ ემოქმედა. ადამიანი ყოველთვის აცხადებდა, რომ სიკეთისთვის იბრძვის, მაგრამ ამავე დროს ბოროტებას სჩადიოდა. ასეთი ქმედების შედეგად მხოლოდ და მხოლოდ სისხლი, ცრემლი და ტკივილი რჩებოდა.



სახლიახლიენი: ვხა, ოოძელიც საკანასთანშიგვიყანს

ბაყარას სურას 30-ე აიათს კაცობრიობის საწყისამდე მივყავართ. აქ, ამ უკიდეგანო სამყაროს გამჩენსა და ანგელოზებს შორის არსებული დიალოგის ნაწილია

მოთხრობილი. საუბარი ეხება ოდითგანვე დადგენილ წესს, რომელიც უნდა განხორციელდეს.

“აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს

დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!" (ბაყარა 30)

ღმერთმა გააჩინა დედამიწა, ცა, წყალი, მცენარეები და სხვა. ყველაფერი ჰარმონიულად იყო შეხამებული, მაგრამ ერთი რამ აკლდა. ეს იყო ადამიანი. ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდებოდა, უკვე მზად იყო. ყველა არსება ადამიანს ელოდებოდა. რომ არა ადამიანი, დედამიწის გაჩენის აზრი არ იქნებოდა განხორციელებული. მიწის, ცის, მცენარეების, ცხოველების და მოკლედ ყველაფრის გაჩენის არსში და იდეაში ცენტრალური ადგილი ადამიანს ეკავა. ღმერთს ადამიანის გაჩენის განზრახვა ადრიანად ჰქონდა, მაგრამ ის ბოლოს გააჩინა, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი და დიდი პასუხიმგებლობის მატარებელი არსება ყველას უნდა გაეცნო.

ბოლოს ღმერთმა ანგელოზებს უბრძანა, რომ ადამიანის გაჩენას აპირებდა და ეს არსება დედამიწის „ხალიფა" იქნებოდა. ანგელოზებმა ადამიანის უარყოფითი თვისებების

ჩამოთვლა დაიწყეს, ამბოხებებს მოაწყობს და სისხლს დაღვრისო, ღმერთს ეუბნებოდნენ. გარდა ამისა ფიქრობდნენ, ღვთისმსახურებაში და თაყვანისცემაში რაიმე ნაკლი არ გვაქვსო.

ეს მოვლენა ანგელოზებისთვის უჩვეულო იყო, რადგან მათთვის არეულობები და სისხლისღვრა წარმოუდგენელი რამ იყო. ასეთი ქმედებები მათ ბუნებას ეწინააღმდეგებოდა. ამ ახალი არსების თვისებები ეშმაკისთვის წარმატების შანსი იქნებოდა.

რამდენადაც ლოცვა და მსახურება ანგელოზებს ღმერთთან აახლოვებდა, იმდენად დააშორებდა ადამიანს შუღლი და სისხლისღვრა ღმერთისგან. ღვთისმსახურება და თაყვანისცემა ანგელოზების ბუნებაა, მაგრამ ადამიანის ბუნებაში ეშმაკისეული ქმედებებისკენ, მათ შორის სისხლისღვრისკენ მიდრეკილება იყო. ლოცვა და ღვთისმსახურება ანგელოზისებრი ქცევები იყო, მაგრამ სისხლისღვრა -ეშმაკისეული.

ამრიგად ადამიანი უნდა გაჩენილიყო. ეს ოდითგანვე იყო გადაწყ-

ვეტილი. მართალია ეს ანგელოზებმა არ იცოდნენ, მაგრამ ამაში მრავალი სიბრძნე იყო. ღმერთმა გააჩინა ადამიანი და ირგვლივ ყველაფრის სახელები ასწავლა. შემდეგ ადამიანს თავისი პასუხისმგებლობა გააცნეს და ადამიანმა ის იტვირთა. ღმერთმა ანგელოზებს უბრძანა მისი გაჩენილი არსების წინ პატივისცემის დასტურად ძირს დამხობილიყვნენ და სეჯდე შეესრულებინათ. ეშმაკის გარდა ყველა ადამიანის წინ დაემხო. ყურანში ნაბრძანებია:

„აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!

და შეასწავლა ადამს ყველა სახელი, შემდეგ წარუდგინა ანგელოზებს ისინი და უთხრა: მაცნეთ აბა, ამათი სახელები, თუკი ხართ მართალნი.

მიუგეს (ანგელოზებმა): დიდება შენდა! რაც შენ გვასწავლე, სხვა რამ ცოდნა არა გვაქვს ჩვენ. უეჭველად, შენა ხარ ყოვლისმცოდნე, ბრძენი!

უთხრა (ალლაჰმა): „ჰეი, ადამ, ამცნე მათ ამათი სახელები! “ და როცა ამცნო ანგელოზებს იმათი სახელები,თქვა : „განა არ მითქვამს თქვენთვის, რომ ვუწყი დაფარულს ცითა და ქვეყნისას და ვუწყი რასაც ამჟღავნებთ და მალავთ?“

და აკი,ვუთხარით ანგელოზებს: „სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის!“ უმალვე სეჯდე აღასრულეს, გარდა იბლისისა , რომელმაც უარი თქვა, გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან“ . (ბაყარა 30-34)

ადამიანი სამყაროს თვალისჩინია. მან მიიღო მძიმე პასუხისმგებლობა, რასაც მონობა, მსახურება ჰქვია. მისი ეს მოვალეობა ყურანში ნახსენებია, როგორც ანაბარი, ამანათი. შეიძლება ადამიანი ამ მოვალეობას რიგიანად ვერ ასრულებს, მაგრამ, რადგანაც პასუხიმგებლობა დიდია და მოვალეობა უკიდურესად მნიშვნელოვანი,ამიტომ ადამიანის სტატუსი და მდგომარეობაც მნიშვნელოვანია. ადამიანი, ერთის

მხრივ, სულიერსა და მატერიალურ სამყაროს შორის ხიდის მოვალეობას ასრულებს. მისი ეს თვისება კი დედამიწაზე ღვთის ნების განხორციელებას განაპირობებს. სხვა ცოცხალ არსებებს ამგვარი მოვალეობა და პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ.

ღმერთმა ადამიანს ესოდენ მნიშვნელოვანი მოვალეობა დააკისრა, ამიტომ ეს ყველაფერი ადამიანისთვის ღირსების მომტანია. ადამიანისთვის დიდი პატივია ღვთიური ანაბარის პატრონობა. ეს ნიშნავს, რომ დიად გამჩენსა და ადამიანს შორის ნდობა და სიახლოვეა. ამ თვალსაზრისით ადამიანი ღმერთის „ნდობით აღჭურვილი“ არსებაა დედამიწაზე.

ცასა და დედამიწაზე რაც კი არსებობს ადამიანისთვისაა გაჩენილი. ყველაფერი, რაც სასარგებლო, ლამაზი და გამოსადეგია ადამიანის სამსახურშია. ადამიანი ანგელოზებისა და ჯინებისგან განსხვავებით უფრო გამორჩეულ საფეხურზეა. მას გააჩნია გონება, ძალა და არჩევანის თავისუფლება. მისი მორალური პოტენციალიც სრულიად განსხვავებულია. პირველი ადამიანის შესახებ არსებული

ღმერთის არსებობისა და ერთადერთობის რწმენა მის მიერ გაჩენილთა მიმართ პატივისცემას მოითხოვს. გაჩენილი გამჩენის ხათრით უნდა გვიყვარდეს.

აიათები განსაკუთრებულ შინაარსს შეიცავს:

„ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი და მივეცით საშუალება ემოგზაურათ ზღვასა და ხმელეთზე. ჩვენ ვუწყალობეთ მათ სიკეთენი და უპირატესვჰყავით ისინი სხვა მრავალ ჩვენს გაჩენილებთან შედარებით!“ (ისრა 70)

ამრიგად, ღვთით მოვლენილი აიათები ადამიანის ღირსებასა და სხვა არსებებთან შედარებით მაღალ საფეხურზე ყოფნას უსვამს ხაზს. (იხ. აგრეთვე ჰიჯრ 28-29; სად 72; სად 75).

ყოველ ადამიანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, უნიკალური თვისებები გააჩნია. ჰეი, ადამიანო!

რაა შენი შემცდენი შენისა ღმერთისა გულუხვისა წინაშე,

რომელმაც გაგაჩინა შენ, მერე გიბოძა სხეული გამართული და თანაზომიერი,

და როგორც ინება, ისეთი ფორმით ჩამოგაყალიბა (სხვადასხვანაირი ფორმა მოგცათ (ყველა ადამიანის გენეტიკური შიფრი განსხვავებულია))?“ (ინფითარ 6-8)

ღვთისადმი რწმენა და მისი ერთადერთობის დაჯერება, მის მიერ გაჩენილთა მიმართ პატივისცემას მოითხოვს. შესაბამისად ადამიანის მიმართ უპატივცემულო ცხოვრების წესი რელიგიურად ვერ ჩაითვლება. ადამიანისადმი პატივისცემა კი მისი უფლებების პატივისცემით გამოიხატება. ისლამის მიხედვით ადამიანს ღვთის წინაშე უფლება-მოვალეობები გააჩნია. ასევე უფლება-მოვალეობები გააჩნია სხვა ადამიანების მიმართაც.

თანამორწმუნეც რომ არ იყოს, ყოველი ადამიანი კაცობრიობის ნაწილია და შესაბამისად პატივსაცემია. ჰზ. ალი ამბობს: „ადამიანები ან გაჩენიდანვე შენი თანასწორნი, ან თანამორწმუნე ძმები არიან“. ასევე ცნობილია, რომ შუამავალი

ფეხზე წამომდგარა, როდესაც მიცვალებულს მიასვენებდნენ. მას უთხრეს, რომ ეს მიცვალებული ებრაელი იყო. „განა ისიც ადამიანი არ არის?“- უპასუხა შუამავალმა. (ბუჰარი, ჯენაიზ 49)

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, კანის ფერისა თუ სქესისა, აუცილებლად იმსახურებს პატივისცემას. ადამიანისადმი პატივისცემა არამარტო მის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება. ამდენად გარდაცვლილების მიმართ პატივისცემაც აუცილებელია.

ადამიანი ამქვეყნიურ ფასეულობებს შორის ყველაზე ძვირფასია. შესაბამისად ამქვეყნიური სარგებლის ან ნებისმიერი მატერიალური სიკეთის გულისათვის ადამიანების წამება, მათი დამონება და ღირსების შელახვა და მითუმეტეს მათი მოკვლა კატეგორიულად მიუღებელია. ასევე მიუღებელია ყველა იმ ღირებულებებისადმი აგდებული დამოკიდებულება, რომლებიც ადამიანს ადამიანად აქცევს და ასევე ხელშეუხებელია ადამიანის ღირსება და ნამუსი.

თუ შენ მოსაყლაედ აღმართავ ხელს ჩემ-ზე...

ადამიანის გაჩენის ეტაპზე ანგელოზები მის უარყოფით თვისებებზე მიანიშნებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ადამიანი არეულობებს მოაწყობდა და სისხლს დაღვრიდა. მართლაც და ადამიანის გაჩენიდან მცირე ხანში ამ თვისებამ ადამის შვილში, კაენში იჩინა თავი. ეშმაკს აყოლილმა კაენმა აბელის მოკვლა გადაწყვიტა.

რა იყო მიზეზი? ძალიან მარტივი; შური, ეგოიზმი, პაექრობა. ძმებმა, აბელმა და კაენმა ორივემ მსხვერპლი შეწირა. აბელის მსხვერპლი მიღებულ იქნა, ხოლო კაენისა- არა, რადგანაც აბელმა ეს ღვთისმსახურება გულწრფელად შეასრულა, მაგრამ კაენი სიძუნწის გავლენის ქვეშ მოექცა და მსხვერპლის შეწირვა შეებრალა. ბოლოს კი, როცა აბელის მსხვერპლი მიღებულ იქნა და მისი არა, კაენი შურისგან გაგიჟდა და ძმის მოკვლა გადაწყვიტა. ის ძმას თავს დაესხა.

აბელი ხედავდა, როგორი საშინელი გადაწყვეტილება ჰქონდა მი-

ღმერთმა მკვლელობა
აკრძალა.
ყველა რელიგია თანხმდება,
რომ უსამართლოდ
ჩადენილი
მკვლელობა კანონის
წინაშეც
დიდი დანაშაულია და
ღვთის წინაშეც დიდი
ცოდვაა.

ღებული კაენს, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ აბელი შეცდომას მიხვდებოდა და უკან დაიხევდა. აბელი ცდილობდა დაემშვიდებინა კაენი და უხსნიდა, თუ რატომ არ მიიღო ღმერთმა მისი შესაწირი. ყურანში მოთხრობილია თუ რა უთხრა მის მოსაკლავად შემართულ ძმას აბელმა:

„ვფიცავ, თუ შენ მოსაკლავად აღმართავ ხელს ჩემზე, მე არ აღვმართავ ხელს შენს მოსაკლავად. უეჭველად, მე მეშინია ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთის“. (მაიდე 28)

შუამავალი აბელის ქცეის მიზეზს შემდეგნაირად განმარტავს: „ თუ ორი მუსლიმი ხმლებით ერთმანეთს შეებრძოლება და ერთი მეორეს მოკლავს, ორივე ჯოჯოხეთში მოხვდება“. შუამავლის მეგობრებმა გაიკვირვეს, მკვლელი გასაგებია, რომ ჯოჯოხეთში მოხვდება, მაგრამ მოკლული რატომ უნდა მოხვდეს ჯოჯოხეთშიო. შუამავალმა კი უპასუხა: „მასაც სურდა მოწინააღმდეგის მოკვლა და იმიტომ“. (იხ, ნესაი, მუჰარებე 29)

გამომდინარე აქედან მარტო მკვლელობის ჩადენა კი არა, მისი განზრახვაც კი დიდი ცოდვა და

ჯოჯოხეთში მოხვედრის მიზეზია.

აბელმა კი ამგვარი ქმედებით მთელ კაცობრიობას სათნოების მაგალითი აჩვენა. მან არც კი შეეწინააღმდეგა და არც სამაგიეროზე უფიქრია. მან აჩვენა, რომ მიტევება და ბოროტებაზე სიკეთით პასუხის გაცემა დიდი მადლია. თუმცა, კაცობრიობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ამგვარი მაღალი ზნეობის გამოვლინებისა და სათნოების გზის არჩევანის მაგალითები ძალიან ცოტაა.

აბელის ამგვარი ქცევა ასევე გვიჩვენებს, რომ მკვლელობას ისინი სჩადიან, ვისაც ღვთისადმი სიყვარული და პატივისცემა დაკარგული აქვთ. აბელმა მკვლელობა არ მოიწადინა და ძმას აფრთხილებდა, რომ თუ მკვლელობას ჩაიდენდა, ღმერთი დასჯიდა და ჯოჯოხეთში ჩააგდებდა, რადგან ულმობელთა ხვედრი ის არისო.

კაენმა მის რჩევებს ყურიც არ ათხოვა. ეშმაკს მისი გონება უკვე დიდი ხანია დაპყრობილი ჰქონდა. ეშმაკმა გონება მოუწამლა და ყველაზე სასტიკი ფიქრები გაუჩინა. კაენი აუცილებლად უნდა მოეკლა. ეს მისი გააზრებული განზრახვა

იყო. მისი ეს განზრახვა შინაგანად მიმზიდველი ეჩვენა. როდესაც ადამიანი აკრძალულს სჩადის ეშმაკი სწორედ ასე აჩვენებს მას. კაენმაც მოკლა აბელი და როგორც ეს ქვეყანა, ისე საიქიოც დაკარგა.

კაენმა როგორც კი მოკლა აბელი, მაშინვე გამოერკვა, შეშინდა და სინდისის ქენჯნა იგრძნო. წარმოიდგინა თავად როგორი სასტიკი და ბოროტი იყო, მაშინ როცა აბელი -ასეთი თავმდაბალი და ღვთისმოშიში. მიუხედავად იმისა, რომ კაენმა პირდაპირ უთხრა უნდა მოგკლაო, აბელმა წინააღმდეგობაც კი არ გაუწია. რა დააშავა აბელმა, გარდა იმისა, რომ კეთილი და მოსიყვარულე ძმა იყო?! კაენი ძალიან ნანობდა. რა უნდა ექნა?! ან როგორ უნდა დაემალა, რაც ჩაიდინა?! ამ მხრივ არც ცოდნა და არც გამოცდილება არ ჰქონდა.

ღმერთმა კაენს ყვავი გამოუგზავნა. ყვავმა მიწის თხრა დაიწყო და ამით კაენს აჩვენა თუ რა უნდა გაეკეთებინა. კაენი შეწუხებული იყო. მისთვის ეს დიდი გაკვეთილი გამოდგა. მან არ დაუჯერა აბელს და ახლა მიხვდა, რომ რაოდენ უსუსური და სასოწარკვეთილი იყო. ამით მისი ამქვეყნიური სასჯელი

იწყებოდა. მკვლელის სასჯელი, რომელიც უდანაშაულო ადამიანის მკვლელს ემართება.

დედამიწაზე პირველი მკვლელობა კაენმა ჩაიდინა. შუამავალი ბრძანებს: „უსამართლოდ მოკლული ნებისმიერი მსხვერპლის სისხლიდან ერთი წილი ადამის პირველი ვაჟისთვისაა განკუთვნილი, რადგან მკვლელობის ადათი მისი დაწყებულია“. (ბუჰარი, ჯენაიზ 33).

კაენის მიერ ასეთი შემზარავი მკვლელობა იმდენად მძიმე იყო, რომ ცა და დედამიწა ამას ვერ ეგუებოდა. ეს იყო უდიდესი ბოროტება, რისი გაკეთებაც ადამიანის წინააღმდეგ შეიძლებოდა. ადამიანის სიცოცხლე წმინდა იყო. ეს წარმოუდგენელი დანაშაული არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთელი კაცთა მოდგმის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი.

ადამიანის მკვლელობა

ყველაზე მკვლელობა

ღმერთი მკვლელობას კატეგორიულად კრძალავს. ყველა რელიგია და სხვა მორალური სისტემა გმობს მკვლელობას და მიჩნეულია, რომ მკვლელი უნდა დაისაჯოს,

როგორც ამქვეყნიური სასჯელით, ისე საიქიო სასჯელითაც. ეს გაცხადებულია წმინდა წერილში, რომელიც ღმერთმა ისრაელის ხალხს გამოუგზავნა. თორას დასკვნით ნაწილში მკვლელობა სასტიკადაა აკრძალული.

ბიბლიაშიც აკრძალულია კაცის კვლა და ეს ათ მცნებაშია შეტანილი. ადამიანის გადარჩენა, მისი დაცვა და მასზე ზრუნვა დიდი მადლია, ხოლო მისდამი უპატივცემულობა, წამება და მოკვლა დიდი ცოდვაა.

ყურანში ნაბრძანებია:

„ამისთვის დავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებანით , მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას “. (მაიდე 32)

ისლამში ადამიანის სიცოცხლე
დაცულია ჯერ კიდევ მაშინ,
სანამ ის დაიბადება.
რსულობის პერიოდში დედებს
განსაკუთრებული ყურადღება
ექცევათ და მათთვის
შედავათებია დაწესებული.
ბიბლიაშიც ნათლად წერია,
რომ კაცის კვლა დიდი
ცოდვაა და ის აკრძალულია.

ამ აიათში ყურადსაღებია ის მომენტი, რომ სიტყვა ადამიანი ზოგადადაა მოხსენიებული და არ არის გამოყოფილი ადამიანის რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის კუთვნილება. გამომდინარე აქედან, ვინც არ უნდა იყოს, უდანაშაულო ადამიანის მოკვლა არამადაა შერაცხული. ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია და ის დაცული უნდა იყოს.

უდანაშაულო ადამიანის მოკვდინება იმდენად დიდი ცოდვაა, რომ ის კაცობრიობის ამოწყვეტასთანაა შედარებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტული ადამიანი რომელ რელიგიას აღიარებს, ან რა ეროვნებისაა ან კიდევ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება. სიცოცხლის ხელშეუხებლობა ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა.

ისლამის მიხედვით ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა მის დაბადებამდე, ჯერ კიდევ დედის მუცელში ყოფნისას იწყება. თუ დედის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება ნაყოფის ხელყოფა დაუშვებელია. გამოდის, რომ ორსულობის პერიოდში ნაყოფსის

სიცოცხლის უფლება დაცულია. შესაბამისად აბორტი და მსგავსი სახის ჩარევები რელიგიურად მიუღებელი და აკრძალულია.

ადამიანის მოკვდინების შესახებ ყურანში მრავალი აიათია მოცემული. მათგან რამოდენიმეს შემოგთავაზებთ:

„და არ მოჰკლათ სული, რომელიც ალლაჰმა აკრძალა, გარდა სამართლიანობის აღდგენისთვის. და ვინც მოკლული იქნა უსამართლოდ, მაშინ მის ახლობელს დავუდგინეთ უფლება, მაგრამ არ გადავიდეს ზღვარს შურისგებისას. უეჭველად, იგი შეწევნილი იქნება!“ (ნისა 33)

„და ვინც მორწმუნეს მოკლავს განზრახ, ჯოჯოხეთია მისი საზღაური, სადაც დარჩება მუდმივად. განურისხდა მას ალლაჰი და დაწყევლა იგი და გაუმზადა მას სასჯელი საშინელი!“ (ნისა 93)

ადამიანის მკვლელობა ნიშნავს, რომ მკვლელი ადამიანის ამ უპირველეს უფლებას არ ცნობს და ასევე არ გააჩნია შემწყნარებლობის გრძნობა. მკვლელობა შემაძრწუნებელი მოვლენაა, რომელიც ადამიანებში შიშს ნერგავს. მკვლელობა

საზოგადოებრივ სიმშვიდეს და დაცულობის განცდას საფუძვლიანად ანგრევს. უსამართლო მკვლელობა შურისძიების გრძნობების გაღრმავებას იწვევს, რაც შემდგომი მკვლელობების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ცოდიციული მკვლელობები და სისხლის აღების ადათი

შუამავალი გვამცნობს, რომ განკითხვის დღეს პირველად ადამიანებს შორის უსამართლოდ დაღვრილი სისხლის გამო მოხდება განკითხვა. (იხ, ბუჰარი, დიათ, 1). გარდა ამისა ის ბრძანებდა: „ღვთის წინაშე, დედამიწის განადგურება ერთი მუსლიმის მკვლელობასთან შედარებით უფრო მსუბუქია“. (ბუჰარი, დიათ 7)

ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი აძლევს და ისევ თავადვე ართმევს.

ყოველი სულიერი იმედია. ყოველი სიცოცხლის მოსპობა ღვთით მოვლენილი აიათების უგულებელყოფას ნიშნავს.

გამომდინარე აქედან ადამიანის მკვლელობა დიადი ღმერთის მიერ დადგენილის წესის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. ამიტომაა, რომ შუამავალი ბრძანებდა: „ღმერთი, ერთი მორწმუნის უსამართლოდ მკვლელის არც მონანიებას და არც „ფიდიეს“ არ მიიღებს“. (ებუ დავუდ, მელაჰიმ, 6)

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია, საკმაოდ ხშირად ხდება მკვლელობები. ხშირ შემთხვევაში ძალიან უბრალო მიზეზით და ზოგჯერ უმიზეზოდაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე იწირება. ამ მიმართულებით ხშირია ოჯახური კონფლიქტების კვალობაზე ჩადენილი მკვლელობები. ხშირად ნამუსის დაცვის სახელით ადამიანები სასტიკ მკვლელობებს სჩადიან. ეს ეხება ეჭვიანობას, განქორწინებას და სხვა.

ამგვარი მკველობების რელიგიური გამართლება შეუძლებელია. ნამუსის დაცვა, რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ საბაბის მომიზეზების გზით მკვლელობის ჩადენა დიდი უსამართლობაა. ამგვარი პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში სასურველია კანონის ფარგლებში მოქმედება, რათა ეშმაკის მიერ დაგებულ მახეში არ გავებათ და დიდი ცოდვა არ ჩავიდინოთ. ისლამის მიხედვით, ოჯახის ინტიტუტის დაცვა და მისი ფუნქციონირების პრინციპები ცნობილია. ასევე ცნობილია ოჯახური კონფლიქტების დროს ასარჩევი გზები და გამოსავლები. ამ მხრივ ძირითადად ქალებს ემუქრებათ საფრთხე. ოჯახის ახლობ-

ლებს კი არანაირი უფლება არ აქვთ ოჯახის წევრი ასე სასტიკად დასაჯონ.

რაც შეეხება სისხლის აღების ტრადიციას, სიტუაცია მსგავსია. ასეთ შემთხვევაშიც საჭიროა კანონის ფარგლებში მოქმედება. ადამიანმა მოწინააღმდეგის დასჯა საკუთარ თავზე არ უნდა აიღოს. ეს უნდა გააკეთოს სასამართლომ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგი უმეცრების ხანის მდგომარეობას დაუბრუნდება. აქვე უნდა გავიხსენოთ შუამავლის გამოსამშვიდობებელი ქადაგება, რომლის დროსაც მან სისხლის აღების ტრადიცია აკრძალულად გამოაცხადა.

სისხლის აღების ტრადიცია მხოლოდ სამართლებრივი და პოლიტიკური სიცარიელეების ამოვსების მიზნით განხორციელებული სადამსჯელო ქმედებები არ არის. მისი ახსნა მხოლოდ ამ ჭრილში არასწორია. ყოველი ასეთი ქმედების უკან მორალური სისუსტეებია დამალული. ამ ტიპის მკველობები ხდება საზღვრების განაწილების, მემკვიდრეობის მიღებისას წარმოქმნილი კონფლიქტების, ოჯახური ძალადობისა და ტრადიციებთან შეუსაბამო ქცევის გამოვლინების

სისხლის აღების
ტრადიციას
რელიგიური
სამართლითა
და ადამიანური
გაგებით
არანაირი ახსნა
არ გააჩნია.

დროს. ამგვარი კონფლიკტების დროს ადამიანებში გროვდება დიდი დოზით ბრაზი და რისხვა, რაც სიძულვილში და სისასტიკეში გამოიხატება. კომფლიქტში შესული ადამიანები უკვე ფიქრობენ, რომ გამოსავალი მხოლოდ სისხლის დაღვრაშია. ამ ყველაფერს კი ისევ და ისევ კანონის სისუსტესთან მივყავართ. სადაც სახელმწიფო სამართალი ეფექტური არ არის, ამგვარი მკვლელობები თაობიდან თაობას გადაეცემა და სავალალო მასშტაბებს იღებს.

არადა ყურანში ნაბრძანებია, რომ ყოველი ჩვენი ქმედება ღვთის წინაშე გაიშიფრება და ყველა თავისი ნამოქმედარის მიხედვით სამაგიეროს ჰპოვებს. (იხ. ზილზალ 7-8)

ადამიანურობის დაკარგვის

მეორე სახელი- ტერორი

ის ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც მასობრივ ხოცვა-ულეტას აწყობენ, ჩვენი წიგნის ცალკე თემას წარმოადგენენ.

ამგვარი ტერორისტული დაჯგუფებების იდეოლოგიის მიხედვით, მიზნის მისაღწევად ყველა გზა გამართლებულია, რელიგიის

სახელის გატეხვიდან დაწყებული ადამიანების მკვლელობებით დამთავრებული. ამგვარი დაჯგუფებები რელიგიურ საფარველს არიან ამოფარებული და მათ შეუძლიათ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ისეთი მოქმედება განახორციელონ, რომ ასობით ადამიანი ამოხოცონ.

ტრადიციით ნაკარნახევი და
ნამუსის სახელით ჩადენილი
მკვლელობები, ღირსების
მსგავსი მაღალი
ღირებულების მომიზეზებით
ჩადენილი ბოროტებაა.

მათი მეტყველების თავისებურებას თუ დავაკვირდებით, ნათლად ჩანს, რომ ისინი ისლამის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ტერმინოლოგიის გამოყენებით საუბრობენ. ამ გზით ისინი ამ ტერმინებს, აიათებსა და ჰადისებს სახელს უტეხენ. აიათებისა და ჰადისების ისეთნაირი ფორმით განმარტება, რომელიც მათი იდეოლოგიისათვისაა შესაფერისი და გამორჩენის მიზნით ისლამის წმინდა ტერმინოლოგიის ხელყოფა საპატიებელი დანაშაული არ არის. მაგალითად თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად კვდება თავად ტერორისტიც. ამ შემთხვევაში მას თვითმკვლელს კი არა, შაჰიდს ეძახიან. ეს შაჰიდის წოდების დაკნინებაა და მეტი არაფერი. ისლამში შაჰიდი ძალიან მაღალი წოდებაა, რომელიც ისლამისა და მუსლიმების წინააღმდეგ მებრძოლ მტრებთან ბრძოლის დროს დაღუპვის შედეგად მიიღწევა. უდანაშაულო ადამიანების დახოცვას შაჰიდობა არ ქვია. ეს მკვლელობაა.

გარდა ამისა,დღეს მოქმედი გარკვეული დაჯგუფებები მუსლიმების წინააღმდეგ სისხლიან დაპირისპი-

რებებს აწყობენ და ამას ჯიჰადის სახელით აკეთებენ. ჩვენი სარწმუნოების ძირითადი წყაროების მიხედვით, ასეთი ქმედების ჯიჰადის სახით წარმოჩენა, მიუღებელია. ისლამის მიხედვით ჯიჰადი ყველა ის წმინდა მიზნით მიხედვით გაკეთებული მცდელობაა, რომელიც ადამიანების თავისუფლების მოპოვებას, სიცოცხლისა და მშვიდობის დამკვიდრებისკენაა მიმართული. რაც შეეხება ომის სახით წარმოებულ ჯიჰადს, ის არა მუსლიმების, არამედ ისლამის მტრების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლაა. გამომდინარე აქედან, ორი მუსლიმური ჯგუფის მიერ ერთმანეთს შორის დაწყებული ბრძოლა, არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჯიჰადი. ეს თუ იქნება მასობრივი მკვლელობა იქნება.

ღმერთმა მედინაში მცხოვრებ და მომძლავრებულ მუსლიმებს მექაზე თავდასხმის უფლება არ მისცა, რათა იქ მცხოვრებ მუსლიმებზე ზიანი არ მიეყენებინათ. მექა ურწმუნოთა მმართველობაში იყო. ეს განმარტებულია შემდეგ აიათში:

„სწორედ ისინი არიან, რომელთაც უარყვეს და თქვენ მესჯიდი

ჰარამის მონახულება და შესაწირი ცხოველების სამსხვერპლო ადგილამდე მიღწევა აღგიკვეთეს. და რომ არ ყოფილიყვნენ მორმუნე კაცნი და მორწმუნე ქალნი , რომელთაც ჯერ არ იცნობდით, შესაძლოა გადაგეთელათ ისინი და მათ გამო დაგტყდომოდათ შეცოდება, ცოდნის გარეშე , რათა შეიყვანოს ალლაჰმა თავისივე წყალობაში, ინებებს ვისაც. მაგრამ ისინი რომ გამიჯნულიყვნენ ერთმანეთისგან, უთუოდ, ჩვენ დავსჯიდით მწარე სასჯელით მათგან, რომელთაც უარყვეს“. (ფეთიჰ 25)

შესაბამისად ყველა ის შეიარაღებული თავდასხმა, რომელიც უდანაშაულო მუსლიმების დაღუპვის შესაძლო მიზეზი შეიძლება გახდეს, ამ აიათის მიხედვით განისჯება.

მუსლიმი ხალხი, ბოლო ასწლეულების განმავლობაში, ჰეგემონიის მფლობელი ძალების მხრიდან, მრავალი უსამართლობის მსხვერპლი გამხდარა. მათ შორის იყო დაპყრობა, სამშობლოდან გაძევება, თავდასხმა, ძალადობა, უფლებების დარღვევა, ბულინგი და მრავალი სხვა სახის უსამართლობა. აღნიშ-

ნული დამოკიდებულება, სამწუ-ხაროდ, დღესაც აქტუალურია და დღესაც იგივე მეორდება.

ბუნებრივია ასეთი მოვლენები მუსლიმურ სამყაროში გარკვეულ ვნებათაღელვას იწვევს, თუმცა ამ ყველაფრის წინააღმდეგ საბრ-ძოლველად გამოყენებული მეთო-დები კარგად უნდა გავიაზროთ. ყოველთვის იარაღის ხელში აღება და ძალადობის გზით პრობლემე-ბის მოგვარების მცდელობა გამო-სავალი არ არის. მითუმეტეს, როცა ასეთ ქმედების შედეგად უდანა-შაულო ადამიანები იღუპებიან. ეს სრულებით მიუღებელია.

ტერორმა მუსლიმები ძალიან დააზარალა. ის მხოლოდ ამ მი-ზანს ემსახურება და სხვა არა-ფერს. კი მაგრამ, მოწინააღმდეგის სურვილიც ხომ ეს არის?!

გამომდინარე აქედან, რეალური გამოსავალი რომ ვნახოთ, ამისათ-ვის გონიერება და სწორი გადაწყ-ვეტილებების მიღებაა საჭირო, რა-თა მუსლიმთა ფიზიკური და სუ-ლიერი არსებობა და მათი მომავა-ლი წარმატებული იყოს.

"ყისას"-ი თქვენთვის სიცოცხლეა

ისლამის მიხედვით ადამიანის სიცოცხლის დასაცავად მხოლოდ საიქიო სასჯელი არ არის დადგენილი. მკვლელი ასევე ისჯება ამქვეყნიური სასჯელითაც. თუ მოკლულის ოჯახის წევრები მკვლელს აპატიებენ ან გამოსასყიდს დათანხმდებიან, ყისასის სასჯელი აღარ დაეკისრება. აღნიშნული საკითხი ყურანში შემდეგნაირადაა განხილული:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა სამაგიეროს გადახდა მოკლულთათვის (ყისასი). თავისუფალი თავისუფალის წილ, და მონა მონის წილ, და ქალი ქალის წილ. ხოლო ვისაც ეპატიოს რამე თავის (მოკლულის) ძმისაგან (ახლობლებისგან), წესისამებრ უნდა მოიქცეს იგი და აუნაზღაუროს კეთილად (გადაიხადოს დიეტი). ესაა შეღავათი თქვენი ღმერთისგან და წყალობა; და ვინც ზღვარს გადავიდეს , ამის მერე მწარე სასჯელი მიეზღოს მას!

ჰეი, გონიერნო! სამაგიეროს გადახდაში სიცოცხლეა თქვენთვის.

ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!“ (ბაყარა 178-179)

ყისასის შესაბამისი პირობების დადგენისას სამართლისა და სამართლიანობის გათვალისწინებაა საჭირო. სასჯელი დანაშაულის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ხოლო ვინც ჩათვლის, რომ უდანაშაულო ადამიანის მოკვლის უფლება აქვს, ის თავად უნდა მოკვდეს.

მკვლელის დასჯის უფლება, ბუნებრივია, მოკლულის ოჯახის წევრებს არ მიეცემათ, რადგან სარწმუნოება ამის უფლებას არ გვაძლევს. ეს რომ დაშვებული ყოფილიყო მტრობა და სისხლის აღება ისევ გაგრძელდებოდა და შეიძლება არც დასრულებულიყო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება რიგრიგობით ორივე მხარიდან მრავალი ადამიანი იქნას მოკლული. მოკლედ, ერთი შემთხვევა შეიძლება საზოგადოებრივ პრობლემად გადაიქცეს.

ყისასის გამოყენების თავისებურებების განსაზღვრა პოლიტიკური ავტორიტეტის პრეროგატივაა. აღნიშნული პასუხისმგებელი ავტორიტეტი ან შესაბამისი ორგანო-

ები, ანუ მოსამართლე თუ ყისასის მაგივრად დამნაშავეს პატიმრობას მიუსჯის, ამ შემთხვევაში მსხვერპლის ახლობლებს დამატებით კიდე ყისასის მოთხოვნის უფლება აღარ აქვთ. თუ მოკლულის ოჯახის ახლობლები ამას თვითნებურად შეეცდებიან, ეს ყურანის მიერ გათვალისწინებული ყისასი კი არა, მკვლელობა იქნება.

ბოლოს

ღმერთმა ადამიანი ყველა არსებაზე მაღლა დააყენა და ღირსებით აღჭურვა. ღვთის მიერ მოვლენილი სარწმუნოებების ყველაზე დიდი მიზნებიდან ერთ-ერთი ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვაა. გამომდინარე აქედან, ადამიანს არანაირი ფორმით, უფლება არ აქვს ან საკუთარი ან სხვისი სიცოცხლე დაასრულოს. არის მცდელობები თვითმკვლელობის გამართლებისა: „ეს ჩემი სიცოცხლეა, როგორც მინდა ისე დავასრულებ“- ამბობენ და თვითმკვლელობის გამართლებას ცდილობენ. ეს კატეგორიულად მიუღებელია. სიცოცხლის პატრონი ღმერთია. ცოცხალ არსებებს ის აჩენს, ის აცოცხლებს და

მათი სიკვდილის შესახებ გადაწყვეტილებასაც ის იძლევა. ადამიანს მხოლოდ ეს ღვთიური ანაბარი მიბარებული აქვს და ვალდებულია გაუფრთხილდეს.

ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე სიცოცხლის უფლებას ფლობს და მისი ეს უფლება ხელშეუხებელია. ყველა ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია, განურჩევლად ეროვნებისა, კანის ფერისა, სქესისა, მრწამსისა და სხვა. გარდა სამართლიანი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საომარი სიტუაციისა, ადამიანის მოკვლა ურწმუნოების შემდეგ ყველაზე დიდი ცოდვაა. უდანაშაულო ადამიანის მოკვლა ამქვეყნიურ და საიქიო სასჯელს იმსახურებს. ისლამის მიხედვით ერთი ადამიანის მოკვლა კაცობრიობის განადგურების ტოლფასია. ახლა წარმოვიდგინოთ რაოდენ დიდი ცოდვაა ტერორისტების მიერ ათობით, ასობით და ათასობით ადამიანის მოკვლა.

ის მხოლოდ
ამ მიზანს
ემსახურება
და სხვა არაფერს.
კი მაგრამ,
მოწინააღმდეგის
სურვილიც
ხომ
ეს არის?!

ადამიანიანის მკვლელობა, ზოგჯერ ერთ კერძო შემთხვევად არ რჩება და უფრო ფართო მასშტაბის მოვლენად იქცევა ხოლმე. ის შეიძლება საზოგადოებაში დაუცველობის განცდის მიზეზი გახდეს, რამაც ასევე შეიძლება სხვა ნეგატიური მოვლენები გამოიწვიოს. მკვლელობამ შეიძლება საზოგადოებრივი სიმშვიდე საერთოდ დაარღვიოს კონფლიქტში მრავალი ადამიანი ჩაითრიოს. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, რომელნიც იბრძვიან ალლაჰისა და მისი შუამავლის წინააღმდეგ და ცდილობენ უკეთურება გაავრცელონ ქვეყნად , ისაა საზღაური, რომ მოკლულნი იქნან ისინი ან ძელზე გაკრულნი, ან ხელ-ფეხი სხვადასხვა მხრით მოკვეთილნი , ან ამ მიწა-წყლიდან გაძევებული . ასეთია დამცირება მათთვის ამქვეყნიური, ხოლო მძიმე სასჯელია საიქიოში“ (მაიდე 33)